კონკურსი მომსახურების შესყიდვაზე PV დანადგარების მონტაჟისა და მომსახურების მიმწოდებლებისთვის

FSM-2024-11-08

სოლიდარობის ფონდი PL საქართველოში ეძებს კვალიფიციურ სერვისის მიმწოდებელს ენერგოეფექტურობის სფეროში ტყიბულის მუნიციპალიტეტის ორი საბავშვო ბაღისთვის მზის ფოტოელექტრული (PV) სისტემის მონტაჟისა და მომსახურების მიზნით, ტექნიკური დოკუმენტაციის - ფუნქციური პროგრამის მიხედვით (დანართი - ფუნქციური პროგრამა PV ტყიბული).

ჩვენი თხოვნაა სრულად გაეცნოთ სატენდერო მასალას, განსაკუთრებით, კონტრაქტორის მომსახურების მიწოდების შეზღუდვებსა და ფინანსურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით, რაც დეტალურადაა აღწერილი ფუნქციური პროგრამის 1.3.2 ნაწილში.

ყველა შეთავაზება უნდა შეიცავდეს მომსახურების ღირებულებას შემდგომი 10 წლის მანძილზე და კონტრაქტორის მომავალ პასუხისმგებლობას დანადგარებიდან ენერგიის წარმოების მოცულობასთან, ასევე, უსაფრთხოების დეპოზიტის ღირებულებასთან დაკავშირებით.

მოთხოვნილი სერვისი: ა.ა.ი.პ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების საბავშვო ბაღებში ხარისხიანი PV ქსელის მონტაჟი და მომსახურება, შემკვეთი ორგანოს შეკვეთის/მოთხოვნის საფუძველზე, კონტრაქტის პირობების თანხმად, რომელიც გაფორმდება ყველაზე ხელსაყრელი შემოთავაზების მქონე ტენდერის მონაწილესთან.

ხელშეკრულების ღირებულება: **125.000,00 PLN მთლიანი (დღგ-ის ჩათვლით) = 81.000,00 ლარი (დღგ-ის ჩათვლით)**

პროექტი: ენერგოეფექტურობა ცხოვრების დონის გაუმჯობესებისთვის

კომპონენტი: „საბავშვო ბაღების მუნიციპალური გაერთიანება, როგორც სათემო ენერგეტიკული გაერთიანების მაგალითი (Community Solar Cooperative)“

საერთო მიზანი: საქართველოში დაბალი შემოსავლის მქონე ადგილობრივ თვითმმართველობებში ენერგოეფექტურობის სფეროს ინვესტიციების გაზრდა.

კონკრეტული მიზანი: ბაგა-ბაღებში ელექტროენერგიის გადასახადის შემსუბუქების გზების შემუშავება *ქსელის გარეთ PV სისტემების დაყენებით.*

პროექტი თანადაფინანსებულია პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლონეთის განვითარების თანამშრომლობის ფარგლებში.

1. **დანიშნულების ადგილ(ებ)ი**

ტყიბულის მუნიციპალიტეტი – მე-6 საბავშვო ბაღი და ახალსოფლის საბავშვო ბაღი (დანართი: შენობების საკადასტრო ნომრები)

2. **დავალების ხანგრძლივობა:**

მოთხოვნის საფუძველზე, 2024 წლის 20 დეკემბერამდე (ჩათვლით), გაგრძელების შესაძლებლობით, მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების პირობების დაცვით.

3. **განსახორციელებელ მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები:**

შეთავაზებები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ აუცილებელ მოთხოვნებს, ტენდერს გამოეთიშებიან.

3.1 PV ქსელის მონტაჟი და მომსახურება უნდა განხორციელდეს ფუნქციურ პროგრამაში მითითებული სპეციფიკაციების მიხედვით - (დანართი: ფუნქციური პროგრამა PV ტყიბული).

3.2 მოთხოვნილი სერვისების მიწოდების შესაძლებლობა ენერგო პრო ჯორჯიას ქსელის ინფრასტრუქტურის გამოყენებით.

3.3 ინსტალაციისა და შეთავაზების ღირებულება უნდა მოიცავდეს ყველა მასალას, სამუშაოს (მათ შორის მოსამზადებელი სამუშაოები და ინსტალაციის შემდგომი მონიტორინგი, სერვისი და ტექნიკური მომსახურება ფუნქციურ პროგრამაში მითითებული მოთხოვნების შესაბამისად (დანართი: ფუნქციური პროგრამა PV ტყიბული)), ნებართვებს (ყველა შესაბამისი ნებართვა, რომელიც საჭიროა PV ინსტალაციისთვის და შემდგომი ექსპლუატაციისთვის, უნდა მოიპოვოს ტენდერის მონაწილემ), ენერგიის მიერთებას და ა.შ. ასევე ენერგო-პროს და სხვა ინფრასტრუქტურის გამოყენებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს.

4. **შეფასების კრიტერიუმი საუკეთესო წინადადების შესარჩევად (მაქს. 120 ქულა)**

4.1. PV დანადგარების მონტაჟისა და მომსახურების ავტორიზაციის ქონის ხანგძლივობა (მაქს. 10 ქულა)

- ავტორიზებული 3 წელზე მეტი ხნის განმავლობაში (დოკუმენტირებული) – 10 ქულა
- ავტორიზებული 1-დან 3 წლამდე (დოკუმენტირებული) – 5 ქულა
- ავტორიზებული 1 წელზე ნაკლები (დოკუმენტირებული) – 2 ქულა

4.2. შერჩეული დამხმარე ჯგუფი/ადამიანი (მაქს. 10 ქულა)

- შერჩეული ტექნიკური მხარდაჭერის ჯგუფის/ადამიანის უზრუნველყოფის შესაძლებლობა – 10 ქულა

4.3 ტექნიკური მხარდაჭერის პაკეტი (მაქს. 20 ქულა)

გთხოვთ, დეტალურად აღწეროთ ტექნიკური მხარდაჭერის პაკეტი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას ტექნიკურ საკითხებზე რეაგირების დროზე, პრობლემის შერბილების ვადებსა

და სხვა სერვისებზე, რაც იგულისხმება შემოთავაზებულ ტექნიკურ მხარდაჭერაში. საუკეთესო ტექნიკური მხარდაჭერის პაკეტი შეფასდება პრობლემაზე რეაგირების და/ან გამოსწორებისთვის შეთავაზებული მინიმალური დროის მიხედვით, აგრეთვე, მხარდაჭერის პაკეტში შეტანილი სერვისების მრავალფეროვნების საფუძველზე.

- პოტენციური სერვისის მიმწოდებელი შემოთავაზებული მინიმალური დროისთვის მიიღებს - 20 ქულას
- ზემოაღნიშნული განცხადების შეუსრულებლობის შემთხვევაში განმცხადებელი მიიღებს - 0 ქულას.

4.4 ხელშეკრულების ღირებულების ფარგლებში შემოთავაზებული ორი PV დანადგარის მონტაჟისა და მომსახურების ჯამური სიმძლავრე (მაქს. 60 ქულა), სადაც:

- ახალსოფლის საბავშვო ბაღზე დამონტაჟებული PV ინსტალაციის ჯამურმა სიმძლავრემ უნდა მიაღწიოს 9,995 კვტ/წმ (მინიმალური სიმძლავრე 9,95 კვტ.);
- ქულათა კრიტერიუმად მიეთითოს ტყიბულის მე-6 საბავშვო ბაღზე დამონტაჟებული PV მონტაჟის სიმძლავრე;

სხვა მოთხოვნები:

- ინსტალაციის ხარჯები (უნდა მოიცავდეს ნებისმიერ მასალას, სამუშაოს, ნებართვას (ყველა შესაბამისი ნებართვა უნდა მოიპოვოს პრეტენდენტმა), ენერგიის წყაროს და ა.შ. ასევე Energo-Pro-ს და სხვა ინფრასტრუქტურის გამოყენებასთან დაკავშირებულ ხარჯებს;
- შეთავაზების ღირებულება ასევე უნდა შეიცავდეს შემდგომი მოვლის, მომსახურების, საგარანტიო შეკეთების ღირებულებას და მინიმალური ენერგიის წარმოების გარანტიას ყოველწლიურად პროექტის არსებობის პერიოდში - 10 წელი.

შეფასება კრიტერიუმით „PV სიმძლავრე“ ეფუძნება შემდეგ ფორმულას:

P= Pof/Pmax x 60 ქულა

სადაც:
Pof – PV სიმძლავრე წარმოდგენილია შემოწმებულ შეთავაზებაში
Pmax - ყველაზე მაღალი შემოთავაზებული PV სიმძლავრე
P - ქულების რაოდენობა, რომელიც მინიჭებული აქვს შემოწმებულ შეთავაზებას PV სიმძლავრის კრიტერიუმით, დამრგვალებულია სრულ რიცხვამდე.

<u>ყველა PV სიმძლავრე უნდა იყოს წარმოდგენილი kWp ან kWe, ათწილადის შემდეგ ორი ციფრით.</u>

4.5 კომპეტენციის დავალება (მაქსიმუმ 10 ქულა)
პრეტენდენტმა უნდა დაამტკიცოს გამოცდილების ქონა PV ინსტალაციის მონტაჟისა და მომსახურების სფეროში მინიმუმ 3 ასეთი პროექტის განხორციელების გამოცდილების ჩვენებით, მინიმალური სიმძლავრით 9,5 კვტ. თითოეული მათგანის შემთხვევაში.

- 0 პროექტი – 0 ქულა
- 1 პროექტი (დოკუმენტირებული) – 3 ქულა
- 2 პროექტი (დოკუმენტირებული) - 5 ქულა
- 3 პროექტი (დოკუმენტირებული) – 7 ქულა
- 3-ზე მეტი პროექტი (დოკუმენტირებული) - 10 ქულა

დავალებას შეაფასებს შესყიდვების კომიტეტი, რომელიც დაკომპლექტდება, მათ შორის, ენერგოეფექტურობის ექსპერტ(ებ)ისგან.

4.6 Warranty period (max. 10 points) – the length of warranty period for PV modules, confirmed by the manufacturer of the modules Points shall be awarded according to the scheme:

4.7 საგარანტიო ვადა (მაქს. 10 ქულა) – PV მოდულების გარანტიის ხანგრძლივობა, როგორც მითითებულია მოდულების მწარმოებლის პუნქტებში, განისაზღვრება შემდეგი სქემის საფუძველზე:

- გარანტია 10 წლიანი (მინიმალური ვადა, შემოთავაზებები უფრო მოკლე ვადით გარანტიით გამოირიცხება პროცედურისგან) – 2 ქულა.
- გარანტია 11 წელი – 3 ქულა
- გარანტია 12 წელი – 4 ქულა
- გარანტია 13 წელი – 6 ქულა
- გარანტია 14 წელი – 8 ქულა
- გარანტია 15 წლით (მაქსიმალური ვადა, უფრო გრძელი გარანტიის ვადით შეთავაზებებს მიენიჭება 10 ქულა) – 10 ქულა

შეირჩევა შეთავაზება, რომელიც მიიღებს ყველაზე მეტ ქულას.

5 ხელშემკვრელ ორგანოსა და კონტრაქტორს შორის ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში (ქართველი სერვისის პროვაიდერისათვის) და PLN (პოლონელი სერვისის პროვაიდერისათვის).

6 განაცხადი უნდა შეიცავდეს ფისკალურ განაცხადს და აპლიკაციის ფორმას (ნიმუშები თანდართულია), ხელმოწერილს და დასკანერებულს PDF ფორმატში.

7 **განაცხადის შეტანა**

განაცხადი უნდა გამოიგზავნოს 2024 წლის 2 დეკემბრამდე, თბილისის დროით, შემდეგ მისამართზე: redi@solidarityfund.pl

შესაბამისი კითხვები შეგიძლიათ მოგვწეროთ მისამართზე georgiarep@solidarityfund.pl ვადის გასვლამდე.

8 ხელშემკვრელი ორგანო არ მიიღებს ტენდერის წარდგენის ვადის გასვლის შემდეგ წარმოდგენილ სატენდერო დოკუმენტაციას/კითხვას.

9 პროცედურის შედეგის შესახებ ინფორმაცია გაიგზავნება განმცხადებლის მიერ მითითებულ ელ. ფოსტაზე და გამოქვეყნდება სოლიდარობის ფონდის PL_GEO Facebook გვერდზე https://www.facebook.com/solidarityfund.ge და https://participatoryhub.ge/

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ განაცხადის შეტანით თქვენ თანახმა ხართ გაუზიაროთ განაცხადის შინაარსი სხვა განმცხადებლებს, (გარდა პერსონალური მონაცემებისა, რომლებიც ანონიმური იქნება) რომლებსაც შეუძლიათ შესაბამისი მოთხოვნის გაგზავნა სოლიდარობის ფონდში SFPL -ში.

10 შერჩეულ კონტრაქტორთან/კონტრაქტორებთან გაფორმდება ხელშეკრულება.

11 კონტრაქტორ(ებ)ს, რომელი ტენდერის შედეგად ჩაითვლება ყველაზე ხელსაყრელად, ეცნობება ხელშემკვრელ ორგანოს მიერ ხელშეკრულების გაფორმების ადგილისა და თარიღის შესახებ.

12 ხელშეკრულების გაფორმებამდე კონტრაქტორი ვალდებულია უზრუნველყოს ყველა საჭირო ინფორმაცია ხელშეკრულების შინაარსის შესავსებად, ხელშემკვრელ ორგანოს მოთხოვნით.

13 თუ ეკონომიკური ოპერატორ(ებ)ი, რომლის სატენდერო წინადადება ჩაითვალა ყველაზე ხელსაყრელად, თავს აარიდებს ხელშეკრულების დადებას, ხელშემკვრელ ორგანოს შეუძლია ხელახლა განიხილოს და შეაფასოს ტენდერის შედეგი დარჩენილი ეკონომიკური ოპერატორების შემოთავაზებებიდან ან გააუქმოს პროცედურა.

14 ეკონომიკური ოპერატორის წარმომადგენლმა პირებმა ხელშეკრულების გაფორმებისას უნდა წარმოადგინონ ეკონომიკური ოპერატორის წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტები, თუ ასეთი ავტორიზაცია არ არის დასტურდება ტენდერის თანდართული დოკუმენტებიდან.

15 სოლიდარობის ფონდი PL უზრუნველყოფს თანაბარ შესაძლებლობებს, სამართლიან და კანონიერ მოპყრობას დასაქმების პროცესში რასის, ფერის, რელიგიის, სქესის, ეროვნული წარმომავლობის, ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობების, პოლიტიკური კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, დაცული გენეტიკური ინფორმაციის ან სექსუალური ორიენტაციის მიუხედავად.

16 გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ წარდგენილ განაცხადებში მოცემული პერსონალური მონაცემების ადმინისტრატორია სოლიდარობის ფონდი PL, რომლის სათაო ოფისი მდებარეობს ვარშავაში, მისლოვიცკას ქ. 4, 01-612 ვარშავა. მონაცემები დამუშავდება მე-6 მუხლის 1 გ პუნქტის საფუძველზე პერსონალური მონაცემების დაცვის პოლონეთის კანონის შესახებ სახელმწიფო შესყიდვების პროცედურასთან დაკავშირებული მიზნებისათვის. თქვენ გაქვთ მოწოდებულ პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლება, პერსონალური მონაცემების გასწორების უფლება და უფლება მოთხოვოთ ადმინისტრატორს პერსონალური მონაცემების დამუშავების შეზღუდვა, რომელიც ექვემდებარება კანონის 18 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს. თქვენ გაქვთ უფლება, საჩივრით მიმართოთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფისის პრეზიდენტს. მონაცემთა მაკონტროლებელი არის სოლიდარობის ფონდი PL საქართველოში, ჭავჭავაძის გამზირი 20, ბინა #3, სართული 2, 0179 თბილისი, საქართველო. თქვენი უფლებების განსახორციელებლად, გთხოვთ, დაუკავშირდეთ SFPL-ს საქართველოში პირდაპირ მისამართზე georgiarep@solidarityfund.pl – ჩვენ მზად ვართ დავიცვათ თქვენი უფლებები ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში.